

საქართველოს ქვეყნის საკოორდინაციო საბჭო

ზედამხედველობის კომიტეტი

ვიზიტი თბილისის ტუბერკულოზის ცენტრში

25 დეკემბერი, 2014

დავით ანანიაშვილი- ზედამხედველობის კომიტეტის თავმჯდომარე

თამარ გაბუნია- ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, USAID ტუბერკულოზის პროექტი, ხელმძღვანელი

ირინა გრძელიძე- ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს აღმასრულებელი მდივანი

ნათია ხონელიძე- ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს ადმინისტრაციული ასისტენტი

ნინო ლორთქიფანიძე- დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, PIU, გლობალური ფონდის ტუბერკულოზის პროგრამის მენეჯერი

გიორგი კუჭუხიძე- დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, PIU, მონიტორინგის და შეფასების ოფიცერი, გლობალური ფონდის ტუბერკულოზის პროგრამა

ზაზა ავალიანი- ტუბერკულოზის და ფილტვის დაავადებების ეროვნული ცენტრი, დირექტორი

ნინო ლომთაძე- ტუბერკულოზის და ფილტვის დაავადებების ეროვნული ცენტრი, გლობალური ფონდის ტუბერკულოზის პროგრამის კოორდინატორი

უჩა ნანავა- ტუბერკულოზის და ფილტვის დაავადებების ეროვნული ცენტრი

მარინა ჯანჯღავა- ტუბერკულოზის და ფილტვის დაავადებების ეროვნული ცენტრი,

**ვიზიტის მიზანი:**

გლობალური ფონდის მიერ დაფინანსებული GEO-T-NCDC პროექტის განხორციელების სტატუსის შეფასება.

**კომენტარი:** 2014 წლის 1 ივლისიდან, 2014 წლის 30 სექტემბრის პერიოდში პროექტის განხორციელების ანალიზმა უჩვენა შემდეგი:

1. ტუბერკულოზის ახალ შემთხვევებზე ინფორმაციის მიღების დაგვიანება. დაგვიანება 1 ან 2 თვით.

2. ინდიკატორისთვის მონაცემთა დაგვიანება: ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტების პროცენტი რომლებსაც აივ/შიდსის სტატუსი აღნიშნული ჰქონდათ ტუბერკულოზის ჩანაწერებში
3. 110 პაციენტთაგან ვინც მულტირეზისტენტული ტუბერკულოზის ფორმაზე მკურნალობას იწყებდა 2014 წლის იანვარი-მარტის პერიოდში 7 (6.36%) დაიკარგა მკურნალობის პირველი 6 თვის განმავლობაში შემდგომი მეთვალყურეობის პროცესში (6.36%).

ზემოთ ხსენებული დაბრკოლებების ხელისშემწყობი ფაქტორების კვლევა არის ძალიან მნიშვნელოვანი.

#### **ვიზიტის მიზნები:**

1. ტუბერკულოზის შემთხვევების ჩანიშნვის ანგარიშის სისტემის გადახედვა და მონაცემთა ბაზაში მონაცემთა დაგვიანების გამორკვევა.
2. მონეტარული წახალისების სქემის დანერგვის სირთულებების განხილვა.
3. წამლების მომარაგების სფეროში სირთულებების გადახედვა. პირველი რიგის ტუბერკულოზის წამლების შესწყიდვის ოპტიმალური მექანიზმი და პროცედურა
4. ძირითად მიმღებთან თანამშრომლობის ოპტიმალური მოდალობის განხილვა

#### **მეთოდოლოგია:**

- პროექტის განმახორციელებელ გუნდთან (1-2 ადამიანი) განხილვა; განსახილველი თემები- არსებული სირთულებები, გაუმჯობესების მექანიზმი
- ტუბერკულოზის მონაცემთა მენეჯერთან განხილვა

**ბატონმა ზაზა ავალიანმა** მიმოიხილა საქართველოში ტუბერკულოზის კონტროლის ამჟამინდელი სტატუსი, ძირითადი აქცენტებით M/XDR ტუბერკულოზის გავრცელებაზე, შემდგომი მეთვალყურეობის შემცირებაზე. მან ასევე აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია პასუხისმგებლობების განსაზღვრა და კოორდინაცია სფეროში მოღვაწე სვხადასვხა მხარეებს შორის, შესაძლებლობის გაზრდა როგორც კლინიკური ასევე მენეჯმენტის თვალსაზრისით, თემში დაავადების გავრცელების პრევენცია, პირველადი ჯანდაცვის რგოლის უკეთესი ჩართულობა, ინფექციის კონტროლის და კანონმდებლობის გაუმჯობესება, ასევე ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტების ინფორმირებულობის გაზრდა.

ბატონმა დავით ანანიაშვილმა, წარმოუდგინა დამსწრეთ ზედამხედველობის მიზანი და ძირითადი ასპექტები. შემდგომ მან ყურადღება გაამახვილა სირთულებებზე- მონაცემთა

დაგვიანების საკითხი, შემდგომი მეთვალყურეობის დაბალი მონაცემები, და სთხოვა დამსწრეთ რომ დეტალური ანალიზის საფუძველზე მოენახათ გამოსავალი.

დისკუსიის განმავლობაში დამსწრეებმა დეტალურად განიხილეს ტუბერკულოზის არსებული აღრიცხვის და ჩანიშვნის სისტემა. ადამიანური რესურსის ნაკლებობა მოხსენიებული იყო ერთ-ერთ სირთულედ (მხოლოდ 11 კოორდინატორია, პენიტენციური სისტემის ჩათვლით). განიხილეს სხვა ქვეყნების გამოცდილებაც და აღნიშნეს რომ ყველაფერი უნდა გაკეთდეს რომ მონაცემთა დაგვიანებას არ ჰქონდეს ადგილი. პრობლემის გადაჭრის გზად დასახელდა USAID/URC ელექტრონული მოდულის შემოღება. მოკლე ვადიან გამოსავალს შორის დასახელდა:

### ***ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტების პროცენტი, ვისი აივ/შიდსის ტესტის შედეგიც აღნიშნულია ტუბერკულოზის რეგისტრში***

- ყველა ტუბერკულოზის პუნქტისთვის სწრაფი ტესტების მიწოდება და ამ გზით აივ/შიდსის ტესტირების გამოცდილების რეგიონალური დონიდან ადგილობრივ დონეზე გადატანა
- არსებულ ფორმაში აივ/შიდსის სტატუსის შეტანა, რაც ბენეფიციარების მოცვას წარმოაჩენს. ინსენტივები და ტრენინგები ექიმებისთვის. ეროვნული გაიდლაინების შესაბამისად მორგება. ამის გაკეთება მალევე შესაძლებელია, რადგან სამინისტრო ამჟამად მუშაობს ტუბერკულოზის აღრიცხვის და ჩანიშვნის ფორმების ფორმალიზებაზე.

### ***ტუბერკულოზის ახალ შემთხვევებზე ინფორმაციის მიღების დაგვიანება***

დაგვიანების ძირითად მიზეზად დასახელდა ბაქტერიოლოგიური და DST შედეგების მიღება.

USAID/URC მოდულის დაკავშირება მონაცემთა მენეჯმენტის არსებულ ელექტრონულ ლაბორატორიასთან დასახელებული იქნა როგორც გამოსავალი. ტექნიკური დეტალები შემდგომ განიხილება ტექნიკური გუნდის მიერ, სავარაუდოდ 2015 წლის იანვარში.

მონაცემთა შეგროვება და დროული ანგარიში შეიძლება გამოსწორდეს ფოსტის გამოყენებით, განსაკუთრებით კი რეგიონებში სადაც წვდომა ინტერნეტთან და შესაბამისი ტექნიკური ინფრასტრუქტურა არ არის.

კვლავ ახსენეს ადამიანური რესურსების სიმწირე, ტუბერკულოზის წამლების მენეჯმენტის სირთულეები. USAID/URC მოდულის განხორციელება ქვეყნის მასშტაბით. შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრომ მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშოს ამ პროცესში.

გათვალისწინებული უნდა იყოს საკანონმდებლო ასპექტებიც აღნიშნული მოდულის ამუშავებისას.

მონეტარული წახალისების სქემის იმპლემენტაციის სტატუსის განხილვისას, ნახსენები იყო რომ სქემა მუშაობს და კარგად პროგრესირებს. აღინიშნება ზოგჯერ დაგვიანება გადასახადში. თუმცა ყველა სირთულე დაკავშირებულია, ქაღალდებთან დაკავშირებულ ბიუროკრატიასთან და ახალი მოდულის შემოღებისას ეს ვითარება შეიცვლება. ეს საკითხი უნდა იყოს განხილული მინისტრის ბრძანება 01/282 0 მიხედვით 2014 წლის 11 ნოემბერს შექმნილი საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე. დამსწრეებმა განიხილეს შემდეგი საკითხები: კერძო პროვაიდერების მეშვეობით ტუბერკულოზის სერვისის მიწოდების შენარჩუნება. ტუბერკულოზის ახალი წამლების შესახებ ახალი გაიდლაინების და პროტოკოლების მომზადება, ბადაქილინის ჩათვლით; პედატრიული სერვისების სტატუსის ჩათვლით და ა.შ. შეთანხმდნენ რომ უნდა შეადგინონ სასწრაფოდ განსახილველი საკითხების სია და წარუდგინონ ის ახლად ჩამოყალიბებულ საბჭოს შემდგომი განხილვისათვის.

**ბატონმა ზაზა ავალიანმა** უპასუხა ბატონი დავით ანანიაშვილის შეკითხვას პირველი რიგის ტუბერკულოზის წამლების შესყიდვის თაობაზე. მან ხაზი გაუსვა შემდეგს: კონტროლის მკაცრი ზომები, წამლების ოპტიმალური რაოდენობის შესყიდვა, წამლების დისტრიბუციის სათანადო მენეჯმენტი, დანახარჯების სათანადო მონიტორინგი, ფინანსური რესურსების იდენტიფიკაცია. დეტალურად განიხილეს სახელმწიფო შესყიდვების კანონის ფარგლებში შესყიდვების შესაძლო მექანიზმები. არსებული ლოჯისტიკის და შესყიდვების სისტემის შენარჩუნება ნახსენები იყო ერთ-ერთ შესაძლებლობად. აღინიშნა რომ მკაცრად უნდა იყოს დაცული სახელმწიფო შესყიდვების რეგულაციები.

**ბატონმა დავით ანანიაშვილმა** წამოწია კომუნიკაციის საკითხი ტუბერკულოზის ცენტრსა და საზედამხედველო კომიტეტს შორის. დაფიქსირდა ძირითად მიმღებთან კომუნიკაციის სირთულეების არარსებობის საკითხიც. **ქალბატონმა თამარ გაბუნია**მ ხაზი გაუსვა მხარდამჭერი მეთვალყურეობის კომპონენტს. ყველა დოკუმენტი უნდა იქნას შესწავლილი საზედამხედველო კომიტეტის მიერ.

**ბატონმა ზაზა ავალიანმა** ხაზი გაუსვა თანამედროვე მიდგომების და მოსახლეობაში ინფორმირებულობის გაზრდის მნიშვნელობას.

**დასკვნა**

**დამსწრეებმა განიხილეს შემდეგი რეკომენდაციები:**

**ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტები ვისაც აივ/შიდსის ტესტი აქვს ჩანიშნული ტუბერკულოზის ანგარიში**

- ყველა ტუბერკულოზის პუნქტისთვის სწრაფი ტესტების მიწოდება და ამ გზით აივ/შიდსის ტესტირების გამოცდილების რეგიონალური დონიდან ადგილობრივ დონეზე გადატანა
- არსებულ ფორმაში აივ/შიდსის სტატუსის შეტანა, რაც ბენეფიციარების მოცვას წარმოაჩენს. ტრენინგები ექიმებისთვის და ტუბერკულოზის აღრიცხვის და ჩანიშვნის ფორმების ფორმალიზება, რაც USAID საქართველოს ტუბერკულოზის პრევენციის პროექტის მიერ იქნება მხარდაჭერილი
- მხარდამჭერი ზედამხედველობის იმპლემენტაციის შესახებ ინფორმაციის მოპოვება საზედამხედველო კომიტეტის და შესაბამისი ექსპერტების მიერ საკუთხის შესწავლა.

**ტუბერკულოზის ახალ შემთხვევებზე ინფორმაციის მიღების დაგვიანება**

ახლად შემუშავებული ტუბერკულოზის ელექტრონული მოდულის (USAID/URC) დაკავშირება ლაბორატორიის ელექტრონულ სისტემასთან მონაცემთა გაცვლის ფასილიტაციის მიზნით

დავით ანანიაშვილი

საზედამხედველო კომიტეტის თავმჯდომარე

ირინა გრძელიძე

აღმასრულებელი მდივანი